არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№066/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 3 ნაწილის, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტისა და მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტები დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ასლი გამოქვეყნდეს საჯაროდ.
3. ეს ბრძანება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად გადაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/პერსონალს.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტები

შესავალი

ეს წესი აწესრიგებს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებრო პროგრამებზე, მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტთა სტიმულირებისა და ხელშეწყობის მექანიზმების ს განსაზღვრის პროცესს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. მოწყვლადი ჯგუფი: არ არსებობს მოწყვლადი ჯგუფების ერთიანი განმარტება, თუმცა ეს ტერმინი მიუთითებს ზოგადად იმ ჯგუფებზე, რომელთაც მარგინალიზაციის საფრთხე ემუქრებათ როგორც შრომის ბაზრიდან, ასევე საზოგადოებიდანაც. საქართველოს მათავრობის დადგენილებებში მოცემულია მოწყვლადი ჯგუფების განმარტება, მაგრამ როგორც წესი, კონკრეტული პროგრამის ფარგლებში. სოციალური დაცვისა და უსაფრთხოების მრავალფეროვანი სქემების მიუხედავად, მოწყვლადი ჯგუფების კატეგორიები სულ უფრო ფართოვდება, თუმცა ამ ფართო წრიდან უნივერსიტეტი გამოყოფს მოწყვლადი კატეგორიის იმ ჯგუფებს, რომელთაც უზრუნველყოფს მხარდაჭერის გარკვეული მექანიზმებით, კერძოდ:

- სოციალურად დაუცველ პირები;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
- იძულებით გადაადგილებულ პირები;
- ქართული ეთნიკური წარმოშობის (ლაზები, დეპორტირებული მესხები, ფერეიდნელი ქართველები და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქართული ეთნიკური წარმოშობის მქონედ და აქვთ ქართული გვარი ან ქართული ლინგვისტური იდენტობა;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირები;
- მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები;
- მრავალშვილიანი ოჯახების წევრები;
- ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილები/ოჯახის წევრები.

1.2. მოწყვლადი ჯგუფებისათვის (სტუდენტებისთვის) საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი ფასდაკლებები:

ა) ფასდაკლება სახელმწიფო გრანტით ჩარიცხულ სტუდენტთათვის;
ბ) სარეიტინგო ფასდაკლება სტუდენტის აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე;
გ) ფასდაკლება სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის;
დ) სხვა ინდივიდუალური ფასდაკლებები.

მუხლი 2. ფასდაკლება სახელმწიფო გრანტით ჩარიცხულ სტუდენტთათვის

2.1. აღნიშნული ფასდაკლება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საბაკალავრო და/ან სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში.

2.2. უნივერსიტეტში ჩარიცხული ის სტუდენტები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების / ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ფარგლებში მოიპოვებენ სახელმწიფო დაფინანსებას, ამავდროულად უნივერსიტეტისგან მიიღებენ ერთჯერად ფასდაკლებას. აღნიშნული თანხა გამოიქვითება სწავლის საერთო საფასურიდან და აისახება სტუდენტთან დადებულ ხელშეკრულებასა და სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკში.

2.3. ფასდაკლების თანხა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ფაკულტეტ(ებ)ის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 3. სარეიტინგო ფასდაკლება სტუდენტის აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე

3.1. აღნიშნული ფასდაკლება მოქმედებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც გასული წლის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებმა შესაძლოა მოიპოვონ სარეიტინგო ფასდაკლება.

3.2. საუკეთესო აკადემიური მოსწრება განისაზღვრება უნივერსიტეტში აღრიცხული თითოეული სტუდენტის მიერ გავლილი საგნების საბოლოო ქულების, „GPA“, აქტიურობისა და სხვა კომპონენტების გათვალისწინებით.

3.3. სტუდენტის წარდგინებას სარეიტინგო ფასდაკლებაზე, ფასდაკლების ოდენობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან ერთად ახორციელებს ფაკულტეტ(ებ)ის დეკანი, სასწავლო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 სამუშაო დღისა. ხოლო, სტუდენტისთვის ფასდაკლების მოცულობას განსაზღვრავს რექტორი შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველზე, არა უგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებისა.

3.4. სარეიტინგო ფასდაკლება ვრცელდება ყოველი მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაში და რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე აისახება სტუდენტთან არსებულ ხელშეკრულებასა და საფასურის გადახდის გრაფიკში.

3.5. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ბოლო სასწავლო წლის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტმა, ფასდაკლება შესაძლებელია მიიღოს ფაკულტეტ(ებ)ის დეკანის წარდგინებითა და უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, ერთჯერადი სტიპენდიის სახით.

მუხლი 4. ფასდაკლება სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის

4.1. აღნიშნული ფასდაკლება მოქმედებს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

4.2. ფასდაკლება მოქმედებს 1.1. პუნქტით განსაზღვრულ სამიზნე ჯგუფებზე.

4.3. 1.1. პუნქტით გათვალისწინებულმა ყოველი ჯგუფის წევრმა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, შესაძლებელია მოიპოვოს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის გათვალისწინებული ფასდაკლება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ფაკულტეტ(ებ)ის დეკანის წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის მიერ სამართლებრივი აქტის გამოცემით.

4.4. საქართველოს მოქალაქის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებმა და უცხოეთში მცხოვრებმა თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რომელებიც ჩაირიცხებიან საგანმანათლებლო პროგრამაზე, ფასდაკლების მოსაპოვებლად უნივერსიტეტში სხვა სტანდარტულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტები:

- სოციალურად დაუცველმა პირებმა - სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის უნივერსიტეტში წარმოდგენამდე არაუადრეს 2 თვისა;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა - საქართველოს მოქალაქის მოწმობასთან ერთად, საქართველოში ეროვნული უმცირესობების კომპაქტურად განსახლების მუნიციპალიტეტებში, ბოლო 5 წლის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი);
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა - სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი ფორმა №50/II (ასლი);
- იძულებით გადაადგილებულმა პირებმა - იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა;
- ქართული ეთნიკური წარმოშობის (ლაზებმა, დეპორტირებულმა მესხებმა, ფერეიდნელმა ქართველებმა და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქართული ეთნიკური წარმოშობის მქონედ და აქვთ ქართული გვარი ან ქართული ლინგვისტური იდენტობა - პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი და უცხოეთში მცხოვრებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, თანამემამულის სტატუსის დამდასტურებელი დოკუმენტი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მოქალაქის მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;

 მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული რომელიმე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

5.4. მრავალშვილიანი ოჯახების წევრებმა - ცნობა ან რაიმე სახის სხვა დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება 5 ან მეტი დის, ძმის ან და-ძმის ყოლის ფაქტი.

 ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებმა/ოჯახის წევრებმა - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რობლითაც დასტურდება ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ პირთან ოჯახური კავშირი.

4.5. სტუდენტის წარდგინებას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის განკუთვნილ ფასდაკლებაზე, ფასდაკლების ოდენობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან ერთად ახორციელებს ფაკულტეტ(ებ)ის დეკანი, აპლიკაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შეტანიდან არა უგვიანეს 15 სამუშაო დღისა. ხოლო, ფასდაკლების ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველზე, არა უგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებისა.

4.6. უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და შესაბამისი ფასდაკლების მოპოვების მიზნით, აპლიკანტმა უნდა გაიაროს საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტებით თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი პროცედურები (ტესტირება, გასაუბრება და ა.შ.) ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 5. სხვა ინდივიდუალური ფასდაკლებები

5.1. სხვა ინდივიდუალური ფასდაკლება შესაძლოა გავრცელდეს უნივერსიტეტში მოქმედ ყველა პროგრამაზე.

5.2. ფასდაკლება შესაძლებელია გავრცელდეს:

 უნივერსიტეტის თანამშრომლის ოჯახის წევრებზე;

 დებზე, ძმებზე ან და-ძმებზე უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლის შემთხვევაში;

 სხვა ცალკეულ შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით.

5.3. სტუდენტის წარდგინებას მე-5 მუხლით განსაზღვრულ ფასდაკლებაზე ახორციელებს ფაკულტეტ(ებ)ის დეკანი. ხოლო, ფასდაკლების მიღებას და განსაკუთრებულ შემთხვევებში ფასდაკლების ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველზე.